

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ანატოლია თრეიდ კომპანი

31 დეკემბერი 2024

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	9

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

შპს გრანტ თორნტონ
ს/ნ: 200136600
იურიდიული მისამართი:
საქართველო, თბილისი, ისნის
რაიონი, ქეთევან წამებულის
გამზირი, № 54
ტ.: + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
I/N: 200136600
Legal address:
Georgia, Tbilisi, Isani district,
Ketevan Tsamebuli avenue, № 54
T.: + 995 322 604 406

შპს ანატოლია თრეიდ კომპანის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “ანატოლია თრეიდ კომპანი”-ს და მისი შვილობილი კომპანიის (ერთად აღებული “ჯგუფი”) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებების და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი განხორციელდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (“ასს”) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ჯგუფისგან დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი. ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გვაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით:

- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისაა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას; და
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს კანონით დადგენილ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით, თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს ჯგუფის მიერ მომავალში ფუნქციონირების უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობა, საჭიროების მიხედვით ანგარიშგებაში წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან როდესაც ხელმძღვანელობას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა საქმიანობის შეწყვეტისა.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯასა და ვიცავთ პროფესიულ სეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაძლო თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნელობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნელობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არსწორი წარმართვა.
- ვერკვევით შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.

- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ჯგუფის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ჯგუფის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ოპერაციები და მოვლენები.
- მოვიპოვებთ სათანადო აუდიტორულ რწმუნებულებას და ინფორმაციას ჯგუფში შემავალ სუბიექტებზე ან ბიზნესის საქმიანობის სექტორების შესახებ, რომელიც საჭიროა აუდიტორული მოსაზრების გამოსახატად. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობაზე და აუდიტის პროცესის გაძღოლაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჩვენს მიერ გამოხატულ აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვეკონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.



შპს გრანტ თორნტონის სახელით,

ბექა გოგოლაური

გარიგების პარტნიორი, სერტიფიცირებული აუდიტორი (რეგისტრაციის #: SARAS-A-157483)

თბილისი, საქართველო

26 სექტემბერი 2025

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ათასი ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი (რეკლასიფიცირებული)	2023 წლის 1 იანვარი (რეკლასიფიცირებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	17,320	18,262	13,383
აქტივის გამოყენების უფლება		49	-	9
არამატერიალური აქტივები		16	16	16
		17,385	18,278	13,408
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	5	27,403	40,442	26,865
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	437	4,631	660
ნაღდი ფული და ფული	7	972	1,515	1,078
საბანკო ანგარიშებზე		28,812	46,588	28,603
		46,197	64,866	42,011
სულ აქტივები				
		46,197	64,866	42,011
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გადაფასების რეზერვები		5,887	5,945	4,839
აკუმულირებული მოგება		15,877	17,121	15,734
		21,764	23,066	20,573
არამაკონტროლებელი წილი		20,766	22,013	19,618
სულ კაპიტალი		42,530	45,079	40,191
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	2,945	19,787	1,809
საიჯარო ვალდებულებები		54	-	11
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		654	-	-
მოგების გადასახადის ვალდებულება		14	-	-
		3,667	19,787	1,820
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		46,197	64,866	42,011

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2025 წლის 26 სექტემბერს:

ალხან ალიზადა
გენერალური დირექტორი

ქეთევან ჯავახიშვილი
მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული მენიშვნებთან (10-32 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



[Handwritten signature]

[Handwritten signature]

შპს ანატოლია ტრეიდ კომპანია
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ათასი ლარი			2023 წლის 31 დეკემბერი (რეკლამ- სიფიციენტური)	2023 წლის 1 იანვარი (რეკლამ- სიფიციენტური)
	შენიშ- ვნა	2024 წლის 31 დეკემბერი		
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	17,320	18,262	13,383
აქტივის გამოყენების უფლება		49	-	9
არამატერიალური აქტივები		16	16	16
		17,385	18,278	13,408
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	5	27,403	40,442	26,865
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	437	4,631	660
ნაღდი ფული და ფული	7	972	1,515	1,078
საბანკო ანგარიშებზე				
		28,812	46,588	28,603
სულ აქტივები		46,197	64,866	42,011
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გადაფასების რეზერვები		5,887	5,945	4,839
აკუმულირებული მოგება		15,877	17,121	15,734
		21,764	23,066	20,573
არამაკონტროლებელი წილი		20,766	22,013	19,618
სულ კაპიტალი		42,530	45,079	40,191
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	2,945	19,787	1,809
საიჯარო ვალდებულებები		54	-	11
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		654	-	-
მოგების გადასახადის ვალდებულება		14	-	-
		3,667	19,787	1,820
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		46,197	64,866	42,011

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2025 წლის 26 სექტემბერს:

ალხან ალიზადა	ქეთევან ჯავახიშვილი
გენერალური დირექტორი	მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-32 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი

		2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
	შენიშვნა		
შემოსავალი	9	116,180	150,897
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(110,487)	(140,053)
საერთო მოგება		5,693	10,844
სხვა შემოსავალი	11	9	596
ადმინისტრაციული ხარჯები:			
თანამშრომელთა ხელფასები		(3,055)	(3,290)
ცვტა და ამორტიზაცია		(1,620)	(1,111)
სარემონტო და ტექნიკური ხარჯები		(441)	(503)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(190)	(175)
დაცვის ხარჯები		(173)	(169)
კომუნალური ხარჯები		(159)	(152)
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება		(66)	(76)
დაზღვევის ხარჯები		(45)	(44)
საპენსიო მოსაკრებლების ხარჯები		(41)	(46)
საბანკო ხარჯები		(16)	(18)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		(563)	(939)
		(6,369)	(6,523)
გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები:			
თანამშრომელთა ხელფასები		(1,213)	(1,266)
მოკლევადიანი იჯარის ხარჯები		(230)	(158)
ტრანსპორტირების ხარჯები		(225)	(578)
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები		(28)	-
საპენსიო მოსაკრებლების ხარჯები		(16)	(18)
		(1,712)	(2,020)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		(2,379)	2,897
ფინანსური შემოსავალი	12	337	371
ფინანსური ხარჯი	12	(6)	(4)
ძირითადი საშუალებების წინა პერიოდებში არსებული გადაფასების ზარალის აღდგენა		-	332
ზარალი საკურსო სხვაობიდან	13	(497)	(1,445)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(2,545)	2,151
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		(2,545)	2,151
სხვა სრული შემოსავალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასება		-	2,737
სრული შემოსავალი საანგარიშო წლისთვის		(2,545)	4,888
მიკუთვნებული მშობელ კომპანიას		(1,298)	2,493
მიკუთვნებული არამაკონტროლებელ წილს		(1,247)	2,395

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-32 გვერდებზე)
ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ათასი ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება	მთლიანი მშობელი კომპანიის მფლობე- ლობის წილი	არაკონ- ტროლი- რებადი წილი	სულ
31 დეკემბერი 2022 წელი (რეკლასიფიცირებული)	-	4,839	15,734	20,573	19,618	40,191
წლის მოგება	-	-	1,097	1,097	1,054	2,151
სხვა სრული შემოსავალი საანგარიშო წლისთვის	-	1,396	-	1,396	1,341	2,737
მთლიანი სრული შემოსავალი საანგარიშო წლისთვის	-	1,097	1,396	2,493	2,395	4,888
აქტივის გასვლისას გადაფასების ნამეტის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე	-	(290)	290	-	-	-
31 დეკემბერი 2023 წელი (რეკლასიფიცირებული)	-	5,945	17,121	23,066	22,013	45,079
წლის მოგება	-	-	(1,302)	(1,302)	(1,247)	(2,549)
მთლიანი სრული შემოსავალი საანგარიშო წლისთვის	-	-	(1,302)	(1,302)	(1,247)	(2,549)
აქტივის გასვლისას გადაფასების ნამეტის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე	-	(58)	58	-	-	-
31 დეკემბერი 2024 წელი	-	5,887	15,877	21,764	20,766	42,530

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-32 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება წლის განმავლობაში	(2,546)	2,151
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	2,349	1,661
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული ზარალი	118	-
ძირითადი საშუალებების წინა პერიოდებში არსებული გადაფასების ზარალის აღდგენა	-	(332)
ფინანსური ხარჯი	6	4
ფინანსური შემოსავალი	(337)	(371)
საკურსო სხვაობიდან ზარალი	497	1,445
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	87	4,558
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	4,194	(5,036)
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	13,039	(13,514)
ცვლილება სხვა საგადასახადო ვალდებულებებში	668	-
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(17,312)	17,509
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	676	3,517
გადახდილი პროცენტი	(6)	(4)
წმინდა ფულადი ნაკადები შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	670	3,513
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,515)	(3,525)
საპროცენტო შემოსავლების მიღება	337	371
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,178)	(3,154)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	-	3,000
სესხის დაფარვა	-	(3,000)
საიჯარო გადასახადები	(5)	(11)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(5)	(11)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(513)	348
ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი	(30)	89
ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	1,515	1,078
ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	972	1,515

ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-32) გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა- განმარტებითი შენიშვნები

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ანატოლია თრეიდ კომპანი“ დაფუძნდა 2010 წელს. იმავე წელს კომპანიამ დააარსა შვილობილი საწარმო - შპს „აგარის შაქრის კომპანია“ (შემდგომში მოხსენიებული ერთობლივად როგორც “ჯგუფი”) და შეიძინა საქართველოს ერთადერთი შაქრის ქარხანა, რომელიც მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარაში. ქარხანა ფუნქციონირებს 1932 წლიდან.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ისანი, მატროსოვის ქ. №13. ჯგუფი წარმოადგენს მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საგადასახადო ინსპექციაში საიდენტიფიკაციო ნომრით 406031244.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა შაქრის ლერწმის გადამუშავების შედეგად მიღებული ნედლეულიდან თეთრი შაქრის წარმოება და საბოლოო პროდუქტის შიდა ბაზარზე გაყიდვა. კომპანია ასევე ყიდულობს რაფინირებულ შაქარს და ყიდის შიდა ბაზარზე. ჯგუფს ეკუთვნის საქართველოს ერთადერთი შაქრის ქარხანა, რომელიც მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარაში და უწყვეტად ფუნქციონირებს 1932 წლიდან.

2024 წელს ჯგუფის საშუალო დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 353 თანამშრომელი (2023 წელს – 360 თანამშრომელი).

ჯგუფის 100%-იან წილს ფლობს აზერბაიჯანში რეგისტრირებული მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ანადოლუ ინვესტმენტ კომპანი. საბოლოო მკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს ახმად აბდოლბარი გოზალ (აზერბაიჯანის მოქალაქე).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავ შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

2024 წლის 31 დეკემბერი შვილობილი	მფლობელობა %	ქვეყანა	გაერთიანების თარიღი	ინდუსტრია	შესყიდვის თარიღი
შპს აგარის შაქრის კომპანია	51.00	საქართველო	2010 წლის 22 ივლისი	წარმოება	2010 წლის 22 ივლისი
2024 წლის 31 დეკემბერი შვილობილი	მფლობელობა %	ქვეყანა	გაერთიანების თარიღი	ინდუსტრია	შესყიდვის თარიღი
შპს აგარის შაქრის კომპანია	51.00	საქართველო	2010 წლის 22 ივლისი	წარმოება	2010 წლის 22 ივლისი

ანგარიშგების თარიღისთვის, საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების კანონის შესაბამისად, ჯგუფი აკმაყოფილებს მონეტარულ კრიტერიუმებს, რომლებიც დადგენილია და შეესაბამება პირველი ზომის-კატეგორიის საწარმოს. ამავ კანონის მიხედვით, ჯგუფი არ წარმოადგენს საჯარო დაინტერესების სუბიექტს (სდპ).

ბიზნეს გარემო

ჯგუფი საქმიანობს საქართველოში, განვითარებად ბაზარზე, რომელსაც ახასიათებს ცვლილებადი ეკონომიკური პირობები, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაცია, ვალუტის კურსის მერყეობა და საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობა. ეს ფაქტორები, ასევე დამოკიდებულება იმპორტზე ნედლეულის -

ნახევარფაბრიკატი და რაფინირებული შაქრის - მიწოდების თვალსაზრისით, ახდენს გავლენას კომპანიის ოპერაციულ გარემოზე.

საქართველოს ეკონომიკური მიმართულება დამოკიდებულია რეგიონულ მოვლენებზე, საგარეო სავაჭრო ურთიერთობებზე, ასევე მთავრობის მიერ გატარებული ფისკალური, მონეტარული და სტრუქტურული პოლიტიკის ეფექტიანობაზე. გადასახადების კანონმდებლობის, საბაჟო გადასახადებისა და იმპორტის რეგულაციების - განსაკუთრებით საკვები პროდუქციის - ხშირი ცვლილებები ზრდის ბიზნესგარემოს გაურკვევლობას. საქართველოს საგადასახადო რეგულაციები ხშირად ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს, რაც შეიძლება შექმნას შესაბამისობის გამოწვევები ბიზნესებისთვის.

როგორც საქართველოში ერთადერთი შაქრის გადამამუშავებელი ქარხნის მფლობელი, რომელიც მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარაში, ჯგუფი მნიშვნელოვან როლს თამაშობს რაფინირებული შაქრის ადგილობრივი მიწოდებაში. თუმცა, ინდუსტრია კვლავ ექვემდებარება გარე რისკებს, მათ შორის გლობალური შაქრის ფასების მერყეობას, რეგიონულ მიწოდების ჯაჭვებში შეფერხებებს და იმპორტირებული პროდუქციის კონკურენციას.

მიუხედავად იმისა, რომ მენეჯმენტს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა ეკონომიკური ან რეგულაციური ცვლილება, რომელიც შეიძლება შეეხოს ჯგუფს ან მთლიანად ინდუსტრიას, ის ყურადღებით აკვირდება ვითარებას და მიიჩნევს, რომ იღებს ყველა საჭირო ზომას ოპერაციების მდგრადობისა და გრძელვადიანი ზრდის უზრუნველსაყოფად.

2 მედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ ჯგუფი ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდისა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც ასახულია დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების ღირებულებით და ძირითადი საშუალებებისა, რომლებიც გადაფასებული ღირებულებითაა წარდგენილი (იხილეთ შენიშვნა 4).

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარებში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა). მთლიანი ფინანსური ინფორმაცია, რომელიც წარდგენილია ათას ლარებში, დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-14 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს ჯგუფმა მიიღო ყველა ახალი და შესწორებული სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოცემული იყო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("IASB") და ფინანსური

ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“IFRIC”) მიერ, რომლებიც შესაბამისობაშია მის ოპერაციებთან და ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლის საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ამ ცვლილებების ბუნება და ეფექტი მოცემულია ქვემოთ.

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული ახალი და გადახედული სტანდარტები და ინტერპრეტაციები.

ქვემოთ ჩამოთვლილი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც პირველად იქნა გამოყენებული 2024 წელს, არ ჰქონიათ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ვალდებულებების კლასიფიკაცია როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი (IAS 1-ის ცვლილებები)
- იჯარის ვალდებულება გაყიდვა-დაბრუნების იჯარაში (IFRS 16-ის ცვლილებები)
- მომწოდებლის საფინანსო განაწილებები (IAS 7-ის და IFRS 7-ის ცვლილებები)
- გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით (IAS 1-ის ცვლილებები)

არსებული სტანდარტები ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ადრე არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ

ამ ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღისთვის, გარკვეული ახალი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ ადრეულ ეტაპზე.

მენეჯმენტი ითვალისწინებს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება იქნება მიღებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველი პერიოდისთვის, რომელიც იწყება განცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მის შემდეგ.

ხელმძღვანელობა არ ითვალისწინებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე წინამდებარე სტანდარტებიდან და ცვლილებებიდან. ისინი წარმოდგენილია ქვემოთ:

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია	ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის დაწყებიდან
ბასს 21-ის ცვლილებები	გაცვლის შეუძლებლობა	2025 წლის 1 იანვარი
ფასს 9 და 7-ის ცვლილებები	ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები	2025 წლის 1 იანვარი
ფასს 18	IFRS 18 – “წარმოდგენა და გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში”	2025 წლის 1 იანვარი
ფასს 19	IFRS 19 – “შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: გამჟღავნება”	2025 წლის 1 იანვარი

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები

3.1 კონსოლიდაციის საფუძველი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს დედა კომპანიისა და მისი ყველა შვილობილი საწარმოს ანგარიშგებებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ყველა შვილობილ საწარმოს საანგარიშო თარიღი შეესაბამება 31 დეკემბერს.

კონსოლიდაციის პროცესში ჯგუფის კომპანიებს შორის არსებული ყველა ოპერაცია და ნაშთი ექვემდებარება ელიმინაციას, მათ შორის ჯგუფის შიგნით განხორციელებულ ოპერაციებზე წარმოშობილი არარეალური მოგება და ზარალი. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის შიგნით აქტივების გაყიდვიდან წარმოშობილი არარეალური ზარალი კონსოლიდაციისას ბრუნდება, შესაბამისი აქტივი ასევე მოწმდება გაუფასურებაზე თვალსაზრისით ჯგუფის პერსპექტივიდან.

შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მაჩვენებლები საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჯგუფის მიერ მიღებული სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობა.

წლის განმავლობაში შეძენილი ან გაყიდული შვილობილი საწარმოების მოგება ან ზარალი და სხვა სრულყოფილი შემოსავალი აღირიცხება შეძენის ეფექტური თარიღიდან ან გაყიდვის ეფექტურ თარიღამდე, შესაბამის შემთხვევაში.

ჯგუფი შვილობილი საწარმოების სხვა სრული შემოსავლის ან ზარალის განაწილებას ახორციელებს დედა კომპანიის მფლობელებსა და არაკონტროლირებადი წილების მფლობელებს შორის მათი საკუთრების წილების შესაბამისად.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

კონსოლიდირებული ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9306 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარი და ერთი ევრო 2.9753 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

მიწა, შენობა-ნაგებობები და საწარმოო დანადგარები (საწარმოო პროცესში მონაწილე ძირითადი საშუალებები) წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საჭიროებისამებრ საკმარისი სიხშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულების შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.

გადაფასებული აქტივის შემდგომი რეალიზაციის ან სრულად ამორტიზირებისას, კუთვნილი გადაფასების ნამეტი, რომელიც დარჩენილია აქტივის გადაფასების რეზერვში გადაიტანება პირდაპირ დაგროვილ მოგებაში.

სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწის, შენობებისა და საწარმოო დანადგარებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება გაუფასურების ზარალით. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან აღიარების შეწყვეტიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასების საფუძველზე. ცვთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის ექსპლუატაციაში. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდგენიარად ნაწილდება:

შენობები	- 20 წელი
საწარმოო დანადგარები	- 12-13 წელი
ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობები	- 5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 5 წელი.

3.4 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია ირიცხება ანგარიშგების მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების განმავლობაში. ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე სასიცოცხლო მომსახურების ვადაა 6 წელი.

3.5 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების აღდგენა დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.6 იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიქარე

ჯგუფი იყენებს საიჯარო გარიგებებს ძირითადად სასაწყობო მიზნებისათვის. კომპანიის სასაწყობო იჯარის ხელშეკრულებების უმეტესობა არის ან მოკლევადიანი (12 თვეზე ნაკლები) ან შეიცავს ცვლად იჯარის გადასახადებს. ჯგუფი არ დებს გაყიდვისა და უკუიჯარის ხელშეკრულებებს. ყველა იჯარის მოლაპარაკება ხდება ინდივიდუალურ საფუძველზე და შეიცავს სხვადასხვა წესებსა და პირობებს, როგორიცაა შესყიდვის ვარიანტების და ესკალაციის დებულებები.

ჯგუფი განიხილავს არის თუ არა ან შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას კონტრაქტის დასაწყისში. იჯარა

გადმოსცემს უფლებას გამოიყენოს და მოიპოვოს იდენტიფიცირებული აქტივის არსებითად ყველა ეკონომიკური სარგებელი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების სანაცვლოდ.

იჯარის აღიარება და შეფასება

იჯარის დაწყების თარიღისათვის ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, ჯგუფის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით) ჯგუფი, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო აღრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. ჯგუფი ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიანი (12 თვეზე ნაკლები ვადით) და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების (თვეში ერთეულის 2000-ზე ნაკლები ღირებულებით) იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი, როგორც მეიჯარე, გამოყოფს იჯარის ორ კლასს - საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებს.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუკი იგი გადასცემს არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს განსაზღვრული აქტივის მფლობელს, სხვა შემთხვევაში იგი კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

3.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან და სათანადო მდგომარეობამდე მიყვანასთან.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა ამოიწურება.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია), გარდა იმ სავაჭრო მოთხოვნებისა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ღირებულებით ფასს 15-ის მიხედვით.

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში ჯგუფს არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI ან ან FVTPL.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- ჯგუფის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია საოპერაციო ხარჯებში. ჯგუფის ფინანსური აქტივები დაყოფილია კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 15.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ხვდება ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით,

სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის აღარ არის აუცილებელი, რომ ჯგუფმა ჯერ ზარალის გამომწვევი მოვლენა დააიდენტიფიციროს. ამის მაგივრად ჯგუფი განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, გონივრულ და შესაფერის პროგნოზს, რომელსაც გაკლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან რომლებსაც დაბალი საკრედიტო რისკი აქვთ (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომელთა საკრედიტო ხარისხი საგრძნობლად გაუარესდა საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღრიცხვისთვის და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობის ნებისმიერ დროს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების დროს, ჯგუფი იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 15.2 შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები შეფასებულია მომავალი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. შემდგომში, საიჯარო ვალდებულებები ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსურ ვალდებულებების აღიარებას, მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები შესრულებულია, გაუქმებულია ან ამოიწურა. სხვაობა ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

როდესაც ჯგუფი არსებულ კრედიტორთან ცვლის ერთ სავალდებულო ინსტრუმენტს მეორეში არსებითად განსხვავებული პირობებით, ასეთი გაცვლა აღირიცხება, როგორც საწყისი ფინანსური ვალდებულების გაუქმება და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება.

ანალოგიურად, ჯგუფი ითვალისწინებს არსებული ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებით ცვლილებას, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების შეწყვეტას და ახალი ვალდებულების აღიარებას. ვარაუდობენ, რომ პირობები არსებითად განსხვავებულია, თუ ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება ახალი პირობებით, მათ შორის ნებისმიერი გადახდილი

საკომისიო, მიღებული და დისკონტირებული ეფექტური განაკვეთის გამოყენებით, მინიმუმ 10 პროცენტით განსხვავდება დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან.

3.9 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშების მიზნებისთვის, ფულთან გათანაბრებულ სახსრებად მიიჩნევა მოთხოვნამდე დეპოზიტები, აგრეთვე სხვა მოკლევადიანი, მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიციები, რომლებიც ადვილად გარდაიქმნება ფულადი სახსრების განსაზღვრულ ოდენობად და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულთან გათანაბრებული სახსრები იწახება მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებების დასაფარად და არა ინვესტიციის ან სხვა მიზნებისთვის. ჯგუფი ინვესტიციას კლასიფიცირებს ფულთან გათანაბრებულ სახსრებად, თუ ის ადვილად გარდაიქმნება ფულადი სახსრების განსაზღვრულ ოდენობად და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

3.10 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ჯგუფის მიერ გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

დაგროვილი მოგება/აკუმულირებული ზარალი მოიცავს ახლანდელი და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას/აკუმულირებულ ზარალს.

გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწების, შენობების და საწარმოო აღჭურვილობის (მანქანები და მძიმე ტექნიკა) გადაფასებიდან წარმოქმნილ შემოსულობასა და ზარალს.

ღივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3.11 სახელმწიფო გრანტი

სახელმწიფო გრანტები არ აღიარდება მანამდე, სანამ არ არსებობს გონივრული გარანტია, რომ ჯგუფი შესაძლებელს მათთან დაკავშირებულ პირობებს და მიიღებს გრანტებს.

სახელმწიფო გრანტები, რომელთა ძირითადი პირობაა, რომ ჯგუფმა უნდა იყიდოს, აწარმოოს ან სხვაგვარად შეიძინოს გრძელვადიანი აქტივები, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია გადავადებული შემოსავლის სახით და აქტივის სასიცოცხლო პერიოდის მიხედვით, სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე ხდება მისი გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა სახელმწიფო გრანტები აღიარდება შემოსავლად სისტემატურ საფუძველზე, იმ საანგარიშგებო პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც ხდება გრანტის მეშვეობით. სახელმწიფო გრანტი, რომელიც მიღებული იქნება გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, ან საწარმოს გადაუდებელი ფინანსური დახმარების მიზნით, რომელსაც არ ექნება შესაბამისი სამომავლო დანახარჯები, უნდა აღიარდეს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას.

3.12 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

ახალი მოდელის (ესტონური მოდელი) მიხედვით, რომელიც ეფექტურია საქართველოში 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება ჯგუფში გაუნაწილებელი მოგების სახით, ცოლო - 15% დაიბეგრება ღივიდენად განაწილებული მოგება. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (ღივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ოპერაციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

მოგების გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ან ბენეფიტებთან ან საჩუქრებთან არ ხდება მათი ცალკე ასახვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ასეთი მოგების გადასახადები წარდენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები სპეციფიურად იბეგრება. გაცემის მომენტში ასეთი სესხები იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით, რომელიც საგადასახადო ორგანოს მიერ ანაზღაურდება სესხის დაფარვის შემდეგ. ჯგუფი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იყენებს პოლიტიკას რომლის მიხედვითაც ასეთი გადასახადები აღირიცხება წინასწარ გადახდილ გადასახადებად. ხოლო, სესხის დაფარვის და საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის ანაზღაურების მომენტში წინასწარ გადახდები უქმდება. ამრიგად, ასეთი ოპერაციები არ ახდენს გავლენას მოგება ზარალზე.

აღნიშნული მოდელის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და მათ საგადასახადო ბაზას შორის, შესაბამისად ბასს 12-ის მიხედვით, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ.

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება, განურჩევლად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომელზედაც ნაწილდება დივიდენდები. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

3.13 დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის ან მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისას. რომელიც უნდა გადაიხადოს არაუგვიანეს ოპერაციის თარიღის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. როგორც წესი, ხდება დღს-ჩათვლა ინვოისის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ დღგ-ს ანგარიშსწორება მოახდინონ წმინდა საფუძველზე.

გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა სახით. როდესაც რეზერვი გაკეთდა დებიტორული დავალიანების გაუფასურების თაობაზე, გაუფასურების ზარალი აღიარდება მთლიანი თანხით დღგ-ს ჩათვლით.

3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (a) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (b) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;
- (c) სოციალურ შენატანებსა და სხვა სოციალურ გადასახადებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (a) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარგადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (b) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად ჯგუფს აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება. მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.15 შემოსავალი

შემოსავალი აღირიცხება იმ ოდენობით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რომელზეც ჯგუფი მოელის უფლების მიღებას საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ მომხმარებლისთვის.

შემოსავლის აღრიცხვის დასადაგენად ჯგუფი მიჰყვება 5-ეტაპიან პროცესს:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიცირება
3. ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
4. ტრანზაქციის ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც/როგორც შესრულება ვალდებულება(ები).

ზოგადი მიმოხილვა მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებისათვის

ჯგუფის ერთადერთი შემოსავლის წყაროა საქონლის რეალიზაცია - კერძოდ, ქარხანაში წარმოებული ან იმპორტირებული და ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული შაქრის რეალიზაცია.

საკონტრაქტო ვალდებულების შესრულების დროულობა

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი აღირიცხება მაშინ, როდესაც ჯგუფი გადასცემს საქონლის მართვის უფლებას მომხმარებელს. ეს, როგორც წესი, ხდება იმ მომენტში, როდესაც მომხმარებელი იღებს საქონლის უპირობო მიტანისას, შეთანხმებული გაყიდვის პირობების შესაბამისად.

ინვოისები გაიცემა მიწოდების დროს, ხოლო გადახდა, როგორც წესი, ხორციელდება მომხმარებლის მიერ მიღებისთანავე. შემოსავალი იზომება ტრანზაქციის ფასით, შემცირებული მომხმარებლის სავარაუდო დაბრუნებების, ფასდაკლებებისა და მსგავსი სხვა შეღავათების ოდენობით.

4 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი

	მიწა	შენობა- ნაგებობები	საწარმოო დანადგარები	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ღირებულება							
31 დეკემბერი 2022 წელი	1,641	14,816	15,944	378	514	5	33,298
შემოსვლა	-	51	2,748	2	92	983	3,876
გასვლა	-	(283)	(759)	(7)	-	-	(1,049)
შიდა მოძრაობა	-	865	93	30	(1)	(987)	-
გადაფასების ნამეტი	790	1,000	1,909	-	-	-	3,699
გადაფასების ზარალი	-	(179)	(451)	-	-	-	(630)
31 დეკემბერი 2023 წელი	2,431	16,270	19,484	403	605	1	39,194
შემოსვლა	-	-	643	-	105	767	1,515
გასვლა	-	23	666	61	-	(750)	-
შიდა მოძრაობა	-	-	(359)	(1)	(76)	-	(436)
31 დეკემბერი 2024 წელი	2,431	16,293	20,434	463	634	18	40,273
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2022 წელი	-	8,379	10,905	363	268	-	19,915
წლის ცვეთა	-	687	950	8	70	-	1,715
გასვლის შედეგად ცვეთის ელიმინირება	-	(206)	(487)	(5)	-	-	(698)
31 დეკემბერი 2023 წელი	-	8,860	11,368	366	338	-	20,932
წლის ცვეთა	-	813	1,410	15	101	-	2,339
გასვლის შედეგად ცვეთის ელიმინირება	-	-	(243)	(1)	(74)	-	(318)
31 დეკემბერი 2024 წელი	-	9,673	12,535	380	365	-	22,953
საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2023 წელი	2,431	7,410	8,116	37	267	1	18,262
31 დეკემბერი 2024 წელი	2,431	6,620	7,899	83	269	18	17,320

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოყენებაში ჯერ არ შესული ქონება, ქარხანა და დანადგარები შეადგენს 776 ათას ლარს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 2,646 ათასი ლარი) და მიეკუთვნება დანადგარებსა და მძიმე ტექნიკას.

ძირითადი საშუალებები (ოფისის ინვენტარი, ავეჯი, სატრანსპორტო საშუალებები) ისტორიული ღირებულებით 1,232 ათასი ლარი (2023 წელს - 517 ათასი ლარი) სრულად არის გაცვეთილი.

2024 და 2023 წლის განმავლობაში ცვეთის ხარჯი ჩართული იყო მოგება-ზარალში შემდეგი პროპორციით:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	657	550
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,620	1,111
	2,277	1,661
მარაგებზე დარჩენილი ცვეთა წლის ბოლოს	62	54
	2,339	1,715

5 მარაგები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	25,454	33,297
მიმდინარე რემონტისა და მშენებლობისთვის საჭირო მარაგები	1,738	6,970
სხვა	211	175
	<u>27,403</u>	<u>40,442</u>

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	272	671
	<u>272</u>	<u>671</u>
არაფინანსური აქტივები		
წინასწარ გაწეული ხარჯები	164	970
წინასწარ გადახდილი ხელფასები	58	58
საექვო მოთხოვნების რეზერვი წინასწარ გადახდილ თანხებზე	(57)	(57)
წინასწარ გადახდები ბიუჯეტში	-	2,989
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	<u>437</u>	<u>4,631</u>

სავაჭრო მოთხოვნები არის მოკლევადიანი. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მის რეალურ ღირებულებასთან. საქონლის რეალიზაციის საშუალო საკრედიტო პერიოდი 30-90 დღეა (2022: 30-90). სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტი არ დარიცხულა. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ნამეტი თანხები სრულად ანაზღაურებადია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტების მიხედვით ასახულია შენიშვნა 16 (ა)-ში.

7 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული	16	41
ფული საბანკო ანგარიშებზე	956	1,474
	<u>972</u>	<u>1,515</u>

დებოზიტები და ანგარიშები განთავსებულია ბანკებში, რომლებიც „B“ რეიტინგით არის შეფასებული საკრედიტო სააგენტო Fitch-ის მიერ და არც ვადაგადაცილებულია და არც ღირებულებადაკარგული.

საბანკო დეპოზიტი წარმოადგენს მოთხოვნამდე, მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიციას, რომელიც ადვილად გარდაიქმნება ფულადი სახსრების განსაზღვრულ ოდენობად და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი ამ საბანკო დეპოზიტებზე შეადგენდა 337 ათას ლარს (2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის - 371 ათასი ლარი).

იხილეთ შენიშვნა 16 ა) ფულადი სახსრებისა და საბანკო ნაშთების ვალუტების შესახებ.

8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	2,854	19,598
მიღებული ავანსები	10	75
გადასახდელი დივიდენდები	39	39
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	42	75
	2,945	19,787

სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. ჯგუფს აქვს ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს ყველა ვალდებულების დროულად გადახდა. ვალდებულებები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 16 (ა)-ში.

9 შემოსავალი

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
საკუთარი წარმოების მზა პროდუქციის რეალიზაცია	115,154	133,520
იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაცია	447	10,089
თანამდევნი პროდუქტის რეალიზაცია	490	650
პროდუქციის რეალიზაცია ექსპორტით	-	5,609
სხვა	89	1,029
	116,180	150,897

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
შემოსავალი მიღებული დროის გარკვეულ მომენტში	116,180	133,520

10 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
წარმოებული მზა პროდუქციის თვითღირებულება	109,758	119,196
იმპორტირებული საქონლის თვითღირებულება	419	9,647
თანაპროდუქტების ადგილობრივი რეალიზაციის თვითღირებულება	287	5,781
ექსპორტით გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	-	5,422
სხვა	23	7
	110,487	140,053

წარმოებული მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
პირდაპირი მასალა	107,813	117,221
სახელფასო ხარჯი	1,288	1,425
ცვეთის ხარჯი	657	550
	<u>109,758</u>	<u>119,196</u>

11 სხვა შემოსავალი

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
ანაზღაურება სადაზღვევოდან	-	455
სხვა	9	141
	<u>9</u>	<u>596</u>

12 ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
საპროცენტო ხარჯები იჯარის ხელშეკრულებებზე	(6)	-
საპროცენტო ხარჯები სესხებზე	-	(4)
მთლიანი ფინანსური ხარჯები	<u>(6)</u>	<u>(4)</u>
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე	337	371
მთლიანი ფინანსური შემოსავალი	<u>337</u>	<u>371</u>
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	<u>331</u>	<u>367</u>

13 ზარალი საკურსო სხვაობიდან

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
ნაღდი ფული და სავაჭრო მოთხოვნები	(30)	(399)
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით	(467)	(1,046)
	<u>(497)</u>	<u>(1,445)</u>

14 მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებები და დაშვებები

შეფასებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა, რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

14.1 მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები

მენეჯმენტი აკეთებს საადრიცხო შეფასებებსა და დაშვებებს მომავლის შესახებ. შედეგად მიღებული საადრიცხო შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს შესაბამისი ფაქტობრივი შედეგებისგან. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და ვარაუდები, რომელთა შეცვლასაც მომავალ ფინანსურ წელს შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების კორექტირებაზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

მენეჯმენტი აფასებს ქონების, ქარხნისა და დანადგარების სასარგებლო ვადებს მოსალოდნელი გამოყენების, ტექნოლოგიური მოძვლებებისა და ფიზიკური ცვეთის მიხედვით. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ შეფასებული სასარგებლო ვადები გონივრულია და არსებითად არ განსხვავდება აქტივების ფაქტობრივი ეკონომიკური ვადებისგან.

თუმცა, თუ ფაქტობრივი სასარგებლო ვადები განსხვავდება აღნიშნული შეფასებებისგან, ამას შეიძლება გამოიწვიოს არსებითი განსხვავება ცვეთის ხარჯებსა და აქტივების ნამთურ ღირებულებებს შორის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების შესაძლო გაუფასურების მაჩვენებლების მიმოხილვა

ყოველ საანგარიშო თარიღზე მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ ქონება, ქარხანა და დანადგარები შეიძლება ღირებულებადაკარგული იყოს. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი ნაკადების შემოშლანით ერთეულის აღდგენით ღირებულებას. ღირებულების დაკლების ზარალი აღიარებულია მაშინ, თუ ნამთური ღირებულება აღემატება აღდგენით ღირებულებას. აქტივის ღირებულების დაკლების განსაზღვრა მოითხოვს მსჯელობასა და შეფასებას, განსაკუთრებით მომავალი ფულადი ნაკადების, დისკონტის განაკვეთებისა და საბაზრო პირობების შეფასებისას. აღნიშნულ მოსაზრებებში ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს არსებითი კორექტირებები აქტივების ნამთურ ღირებულებაში მომავალ პერიოდებში.

ძირითადი საშუალებების გადაფასებული ღირებულება

მიწა, შენობები და საწარმოო დანადგარები აღირიცხება გადაფასების მოდელით და გამოხატულია გადაფასებულ ოდენობებში. სამართლიანი ღირებულებები განსაზღვრულია დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ. შეფასების პროცესში გამოიყენება მნიშვნელოვანი შეფასებები და მოსაზრებები, მათ შორის საბაზრო ანალოგები, ჩანაცვლების ღირებულება და აქტივების მდგომარეობა. შესაბამისად, ამ აქტივების რეალურად მიღებული ღირებულება შეიძლება განსხვავდებოდეს ფინანსურ ანგარიშგებაში გამოქვეყნებული სამართლიანი ღირებულებებისგან.

მარაგების რეალიზებადი ღირებულების შეფასება

ჯგუფი აფასებს მარაგების წმინდა რეალიზებად ღირებულებას ყველაზე სანდო მტკიცებულების საფუძველზე, რომელიც ხელმისაწვდომია საანგარიშო თარიღზე. შეფასებაში გათვალისწინებულია მიმდინარე და მოსალოდნელი გაყიდვის ფასები, დასრულების ხარჯები და რეალიზაციის ხარჯები. აღნიშნული შეფასებები შეიძლება დაზიანდეს ტექნოლოგიური ცვლილებებით, მომხმარებელთა მოთხოვნილებების ცვლილებით ან საბაზრო პირობებით, რომლებიც ამცირებს მარაგების რეალიზებად ღირებულებას.

14.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

საწარმოს ფუნქციონირებადობის დაშვება

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტი აფასებს კომპანიის შესაძლებლობას განაგრძოს საქმიანობა მომავალში და იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის უწყვეტ საფუძველს, თუ მენეჯმენტი არ აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან არ აქვს ამის გარდა სხვა ალტერნატივა.

ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ჯგუფი არის ფუნქციონირებადი, არ არსებობს მნიშვნელოვანი გაურკვევლობა ამ კუთხით და, შესაბამისად, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

15 ფინანსური ინსტრუმენტები

15.1 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები და მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის, თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.8-ში.

15.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ქვემოთ წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები:

ფინანსური აქტივები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	272	671
ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები	972	1,515
მთლიანი ფინანსური აქტივები	1,244	2,186

ფინანსური ვალდებულებები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,893	19,637
საიჯარო ვალდებულებები	54	-
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	2,947	19,637

16 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით სხვადასხვა რისკის წინაშე დგას. ძირითადი რისკების ტიპებია, საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

ჯგუფს აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტებით გამოყენების გამო და ძირითადად აქვს სავალუტო რისკი, რომელიც გამოწვეულია საოპერაციო საქმიანობით.

სავალუტო რისკი

ჯგუფი ახორციელებს გარკვეულ ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში. ამრიგად, წარმოიქმნება გაცვლითი კურსის რყევებთან დაკავშირებული რისკები.

ჯგუფის ოპერაციების უმეტესობა ხორციელდება ქართულ ლარში. ვალუტის გაცვლის კურსებზე ზემოქმედება წარმოიქმნება კომპანიის ექსპორტის გაყიდვებიდან და იმპორტის შესყიდვებიდან ან ნედლეულისა და საქონლის ხელახალი გაყიდვიდან, რომლებიც ძირითადად დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ჯგუფს სავალუტო რისკის წინაშე აყენებს, აღწერილია ქვემოთ. მოცემული თანხები გადაყვანილია ლარებში საბოლოო კურსით, და წარდგენილია ხელმძღვანელობასთან საანგარიშგებო პერიოდისთვის:

ერთეული

31 დეკემბერი 2024 წელი

	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	45	69
საბანკო ანგარიშები	13	-
	58	69
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	2,723	-
	2,723	-
წმინდა პოზიცია	(2,665)	69

ერთეული

31 დეკემბერი 2023 წელი

	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	90	44
საბანკო ანგარიშები	7	13
	97	57
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	18,312	-
	18,312	-
წმინდა პოზიცია	(18,215)	57

ცხრილი ასახავს ლარის დოლარის და ევროს მიმართ 15% (2023:15%) კლება/მატების გავლენას ჯგუფზე. 15% (2023: 15%) წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას გაცვლითი კურსის სავარაუდო ცვლილებებთან დაკავშირებით. გავლენის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გადაუხდელობის ვალდებულებების ნაშთებს და აკორექტირებს მათ 15%-ით (2023: 15%-ით) პერიოდის ბოლოს გაცვლითი კურსის მიხედვით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ევროსთან მიმართებაში 15%-ით (2023: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათასი ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2024	2023	2024	2023
მოგება/ზარალი	400	2,732	(10)	(9)

უცხოური გაცვლითი კურსისადმი მგრძნობელობა მნიშვნელოვნად იცვლება უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან გამომდინარე. ზემოთ განხილული ანალიზი წარმოადგენლობით ხასიათს ატარებს.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტებისგან, როგორიცაა ფული და ფულის ეკვივალენტები ბანკში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

საკრედიტო რისკი იმართება ინდივიდუალურ ბაზაზე ჯგუფის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე.

ჯგუფს არ გააჩნია რაიმე სახის გარანტია სავაჭრო დებიტორულ ბალანსზე. გარდა ამისა, ჯგუფი არ ფლობს უზრუნველყოფას სხვა ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით (მაგ. წარმოებული აქტივები, ფული და ფულის ეკვივალენტები).

ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს რისკს, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს საკუთარი ვალდებულებების დროულად დაფარვას.

ჯგუფი ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა ჯგუფმა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი დეტალურად ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილი იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილი იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2024

	უპროცენტო	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		11.48%	
6 თვეზე ნაკლები	2,896	14	2,910
6 თვიდან 1 წლამდე	-	14	14
1-5 წლამდე	-	26	26
	2,896	54	2,950

2023

	უპროცენტო	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)	-	11.48%	
6 თვეზე ნაკლები	19,637	-	19,637
	19,637	-	19,637

ჯგუფი ითვალისწინებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოზიდვას ფინანსური აქტივებიდან ლიკვიდურობის რისკის, განსაკუთრებით მისი ფულადი სახსრებისა და სავაჭრო მოთხოვნების შეფასებისა და მართვის პროცესში. ჯგუფის ფულადი სახსრები და სავაჭრო მოთხოვნები აღემატება ფულადი სახსრების გადინების მიმდინარე მოთხოვნებს.

17 სამართლიანი ღირებულებით შეფასება

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც პირველადი აღიარების შემდგომ ფასდება რეალური ღირებულებით, იერარქიულად 3 დონეს მოიცავს:

- დონე 1-სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის.
- დონე 2-სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ.
- დონე 3-სამართლიანი ღირებულების შეფასება დამოკიდებულია შეფასების ტექნიკებზე, რომელიც იყენებენ ისეთ მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ბაზარზე ღია დაკვირვებად მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები)

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით და რომლის სამართლიანი ღირებულება არის გამჟღავნებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფული საბანკო ანგარიშზე და სავაჭრო დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი რეალური ღირებულებისგან.

17.1 ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

მიწები, შენობები და საწარმოო დანადგარები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით. მათი სავარაუდო რეალური ღირებულება კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების მე-3 დონეზე. ამ აქტივების რეალური ღირებულების გაანგარიშება ხდება დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ლიცენზია. მნიშვნელოვანი ინფორმაცია და დამკვეთი შემუშავებულია მენეჯმენტთან მჭიდრო კონსულტაციის შედეგად.

შეფასება განხორციელდა საბაზრო მიდგომის გამოყენებით. შეფასება შესრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს. საბაზრო მიდგომა ასახავს ბოლოდროინდელ საბაზრო გარიგებაზე ფიქსირებულ ფასებს მსგავსი ძირითადი საშუალებებისთვის და იყენებს კორექტირებას გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით, მაგალითად როგორც არის მიწის ნაკვეთის ზომა, ადგილმდებარეობა, გამოყენების მიზანი და სხვა. მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი მონაცემები წარმოადგენენ ამ მიწისა და ძირითადი საშუალებების ფაქტორების კორექტირებებს. ამ კორექტირების მოცულობა და მიმართულება დამოკიდებულია მსგავსი ძირითადი საშუალებების დაკვირვებადი ბაზრის ტრანზაქციების რაოდენობასა და მახასიათებლებზე, რომლებიც განიხილება შეფასების საწყის წერტილად. მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაცემები სუბიექტურად არის შეფასებული, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ შესაძლო ალტერნატიული დამკვეთი არ მოახდენენ არსებით გავლენას მთლიან შეფასებაზე.

17.2 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა სამართლიანი ღირებულება არის ახსნილი.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

რეალური ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი ფულადი ნაკადების დისკონტირებით, მსგავსი ინსტრუმენტების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. ამ მაგალითის მიხედვით ამოსავალი მონაცემი არის დისკონტის განაკვეთი. ზემოთ აღწერილი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სავარაუდო რეალური ღირებულებები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე -3 დონეზე.

18 კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს დააკმაყოფილოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი. ჯგუფის კაპიტალის სტრუქტურა შედგება საწესდებო კაპიტალისგან, კაპიტალში შენატანებისგან, გადაფასების რეზერვისა და დაგროვილი მოგება-ზარალისგან. ჯგუფის მენეჯმენტი აფასებს ჯგუფის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს დააკმაყოფილოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი და უზრუნველყოს მფლობელები შესაფერისი უკუგებით.

19 გაუთვალისწინებელი გარემოებები

19.1 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს კანონმდებლობის ხშირი ცვლილებები, რომლებიც ხშირად ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციებს. პრაქტიკაში განსხვავებული ინტერპრეტაციები შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებსა და იურისდიქციებს შორის. საგადასახადო პერიოდი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახედვისთვის ღიაა სამი წლის განმავლობაში; თუმცა გარკვეულ პირობებში, გადახედვა შეიძლება გაგრძელდეს ამ ვადის გადაცილებით.

საგადასახადო ორგანოებს აქვთ კანონის საფუძველზე უფლება დააკისრონ მნიშვნელოვანი ჯარიმები და სანქციები. ეს ფაქტორები ქმნის საგადასახადო რისკებს საქართველოში, რომლებიც შეიძლება იყოს მნიშვნელოვნად უფრო მაღალი განვითარებულ ეკონომიკებთან შედარებით. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ სრულად დაემორჩილა ყველა შესაბამის საგადასახადო კანონმდებლობას და სათანადოდ დაუფიქსირა ნებისმიერი შესაძლო საგადასახადო ვალდებულება. თუმცა, საგადასახადო ინსპექტირებების შედეგებმა და

ხელისუფლების განსხვავებულმა ინტერპრეტაციებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

19.2 ბიზნეს გარემო

საქართველოს ეკონომიკური მიმართულება განპირობებულია რეგიონული მოვლენებით, საგარეო სავაჭრო ურთიერთობებით და მთავრობის მიერ გატარებული ფისკალური, მონეტარული და სტრუქტურული პოლიტიკების ეფექტიანობით. გადასახადების კანონმდებლობის, საბაჟო გადასახადებისა და იმპორტის რეგულაციების - განსაკუთრებით საკვებ პროდუქტებთან დაკავშირებული - ხშირი ცვლილებები ზრდის ბიზნესგარემოს გაურკვევლობას. საქართველოს საგადასახადო რეგულაციები ხშირად ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს, რაც შესაძლოა შექმნას შესაბამისობის გამოწვევები ბიზნესებისთვის.

როგორც საქართველოში ერთადერთი შაქრის გადამამუშავებელი ქარხნის, რომელიც მდებარეობს კარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარაში, მფლობელი, ჯგუფი მნიშვნელოვან როლს თამაშობს რაფინირებული შაქრის ადგილობრივ მიწოდებაში. თუმცა, ინდუსტრია კვლავ არის მოწყვლადი გარე რისკების მიმართ, როგორიცაა გლობალური შაქრის ფასების მერყეობა, რეგიონული მიწოდების ჯაჭვის შეფერხებები და იმპორტირებული პროდუქციის კონკურენცია.

მიუხედავად იმისა, რომ მენეჯმენტი ვერ იწინასწარმეტყველებს ყველა ეკონომიკურ ან რეგულატორულ ცვლილებას, რაც შეიძლება შეეხოს ჯგუფს ან მთლიან ინდუსტრიას, ის კვლავ აკვირდება ვითარებას და მიიჩნევს, რომ იღებს ყველა საჭირო ზომას ოპერაციების მდგრადობისა და გრძელვადიანი ზრდის უზრუნველსაყოფად.

19.3 დაზღვევა

ჯგუფი ფლობს დაზღვევის პოლისებს გარკვეული ტიპის რისკებისათვის, მათ შორის ქონებისა და მარაგების დაზიანებისგან. თუმცა, საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრია კვლავ განვითარებადი და არა ყველა რისკი სრულად არის დაფარული არსებული პოლიტიკებით. განსაკუთრებით, დაზღვევის სიგრძე შესაძლოა არ ასახავდეს სრული ზარალის ღირებულებას, ხოლო ზოგიერთი ოპერაციული რისკი — მაგალითად, ბიზნესის შეფერხება ან პოლიტიკური რისკები — შესაძლოა დაზღვევის გარეშე ან არასაკმარისად იყოს დაფარული.

ამის გამო, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ზიანი, დანაკარგი ან ვალდებულება, რომელიც გამოწვეულია არაზღვეულ ან არასაკმარისად დაზღვეული შემთხვევებით, შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს დაზღვევის სანდოობას და ცდილობს რისკების შემცირებას როგორც სადაზღვევო, ისე ოპერაციული დაცვის საშუალებებით.

20 დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი დამფუძნებლები, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები, ძირითადი ხელმძღვანელობა და სხვები, რომლებიც აღწერილია ქვემოთ.

20.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

ჯგუფის 100%-იან წილს ფლობს აზერბაიჯანში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ანადოლუ ინვესტმენტ კომპანი. საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს ახმად აბდოლბარი გოზალ (აზერბაიჯანის მოქალაქე).

ინფორმაცია კომპანიის მფლობელების შესახებ წარმოდგენილია შენიშვნებში 1 და 20.1. ინფორმაცია ჯგუფის შვილობილი კომპანიების შესახებ წარმოდგენილია შენიშვნა 1-ში.

20.2 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
ოპერაციები		
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ერთეულები		
საქონლის რეალიზაცია	2,449	2,050

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
ოპერაციები		
შესყიდვები	97	137
მარკეტინგული ხარჯები	28	31
იჯარის ხარჯები	169	107

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნაშთები		
მშობელი კომპანია		
გადასახდელი დივიდენდი	39	39
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ერთეულები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	209	79
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	66

20.3 ოპერაციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურება, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა ხელფასებში და სარგებელში:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
ხელფასები და ბონუსები	758	825

21 ცვლილებები წინა პერიოდში წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ გამოავლინა შეცდომა, კერძოდ, კონსოლიდაციის გატარებებში შვილობილი კომპანიის კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც არაკონტროლირებადი წილის ("NCI") მაკუთვნებელი იყო, სრულად არ იქნა ელიმინირებული.

ხელმძღვანელობამ შეცდომა შეასწორა შესაბამისი თანხების რეკლასიფიკაციით კაპიტალის საწყის ნაშთებში. აღნიშნულმა შესწორებამ არ მოახდინა გავლენა ჯგუფის მოგება-ზარალის ანგარიშსა და ფულადი ნაკადების ანგარიშზე შესაძარის პერიოდებში.

შემდეგი ცხრილები აჩვენებს 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განხორციელებულ რეკლასიფიკაციებს:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ლარში	2023 წლის 31 დეკემბერი (აღრე წარდგენილი)	რეკლასიფიკაცი ები	2023 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებ ული)
საწესდებო კაპიტალი	2,527	(2,527)	-
კაპიტალი მიკუთვნებული მფლობელებს	2,527	(2,527)	-
არამაკონტროლებელი წილი	19,486	2,527	22,013
კაპიტალი მიკუთვნებული არამაკონტროლებელ ხარეს	19,486	2,527	22,013

In thousand Georgian lari	2022 წლის 31 დეკემბერი (აღრე წარდგენილი)	რეკლასიფიკაცი ები	2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებ უ-ლი)
საწესდებო კაპიტალი	2,527	(2,527)	-
კაპიტალი მიკუთვნებული მფლობელებს	2,527	(2,527)	-
არამაკონტროლებელი წილი	17,091	2,527	19,618
კაპიტალი მიკუთვნებული არამაკონტროლებელ ხარეს	17,091	2,527	19,618

22 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბერსა და ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღს შორის არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მაკორექტირებელი ან არამაკორექტირებელი მოვლენა.

შპს "ანატოლია ტრეიდ კომპანი"

"ANATOLIA TRADE COMPANY" LLC

შპს „ანატოლია ტრეიდ კომპანი“

სარჩევი

1. მოკლე მიმოხილვა.....	2
2. კომპანიის დამფუძნებლები და მმართველი პირები	3
3. საკუთარი აქციები (საწესდებო კაპიტალი)	3
4. განვითარების გეგმა და სამომავლო პერსპექტივები	3
5. წარმოებული კვლევები და მისი განვითარება	6
6. რისკების მიმოხილვა.....	6
7. ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა.....	7

შპს "ანატოლია ტრეიდ კომპანი" "ANATOLIA TRADE COMPANY" LLC

მმართველობითი ანგარიშგება და 2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ანატოლია ტრეიდ კომპანი“ 100 % წილის მფლობელი 2019 წლამდე იყო არაბთა გაერთიანებულ საემიროებში დაფუძნებული კომპანია GLOBA AGRO INDUSTRY FZCO, თუმცა 2019 წელს დამფუძნებელი შეეცვალა და 100% წილის მფლობელი გახდა Anadolu investment Company.

შპს „ანატოლია ტრეიდ კომპანი“ არის შპს „აგარის შაქრის კომპანიის“ 51 %-ის დამფუძნებელი.

კომპანიის საქმიანობა მხოლოდ შპს „აგარის შაქრის კომპანიის“ მართვას მოიცავს, შესაბამისად ქვემოთ მოყვანილია შპს „აგარის შაქრის კომპანიის“ მმართველობითი ანგარიშგება და 2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა.

შეიღობილი კომპანიის შესახებ:

1. მოკლე მიმოხილვა

შემოთხზული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აგარის შაქრის კომპანია“ დაფუძნებულია 2010 წლის 22 ივლისს.

შპს „აგარის შაქრის კომპანიას“ საკუთრებაში არსებული აგარის შაქრის ქარხანა აშენებულია 1932 წელს. საწარმო განლაგებულია ქარელის რაიონის დაბა აგარის ცენტრში, თბილისიდან 100 კილომეტრის მანძილზე. იგი განთავსებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გზატკეცილზე, ის ახლოა შავი ზღვის პორტებთან (ფოთი - 220 კმ., ბათუმი - 300 კმ.). მისი მდებარეობა ხელსაყრელია ნებისმიერი თვალსაზრისით, რადგანაც იგი ქვეყნის შუაგულში მდებარეობს და მისი ნებისმიერი საზღვრიდან დაახლოებით თანაბარი მანძილითაა დამორეგული, ხოლო ცენტრალური ტრასიდან და სარკინიგზო მაგისტრალიდან 50-200 მეტრშია. ქარხანა უზრუნველყოფილია სასაწყობო მეურნეობასთან სარკინიგზო მისასვლელით. საწარმოს ფართობი შეადგენს 29 ჰექტარს. მის მფლობელობაშია სასაწყობო შენობები 8,035 ჰა ფართობის სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 0.3322 ჰა ფართობის წყალსაქარის ტერიტორია. საწარმო მარაგდება ელექტროენერგიით, სანავიით, არსებობს წყლით მომარაგების ბუნებრივი რესურსები. თავისი არსებობის პირველ წლებში საწარმო აწარმოებდა შაქარს მხოლოდ შაქრის ჭარხლიდან. პირველ, 1933 წელს გადამუშავებული იყო მხოლოდ 4,440 ტონა შაქრის ჭარხალი. წლიდან წლამდე საქართველოს შაქრის კომბინატი ზრდიდა სადღეღამისო წარმადობას და გადამუშავებული შაქრის ჭარხლის მოცულობას. 1958 წლიდან შაქრის ქარხანამ დაიწყო იმპორტული შაქრის ლერწმის გადამუშავება. თანდათან იზრდებოდა შაქრის ლერწმის გადამუშავების გამოცდილება და უკვე სამოცდაათიანი წლების დასაწყისში კომბინატმა მიაღწია უმაღლეს მაჩვენებლებს. იგი ამუშავებდა წელიწადში 100,000 ტონაზე მეტს შაქრის ჭარხალს და 50,000 ტონაზე მეტს შაქრის ლერწმის ნედლეულს. ოთხმოცდაათიანი წლებში შაქრის ჭარხლის დამზადების შემცირების მიუხედავად, მას ხანგრძლივი გაჩერება არ ჰქონია 2018 წლის ნოემბრამდე. ხოლო 2018 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ივნისამდე ქარხანამ წარმოება შეწყვიტა და მხოლოდ საცალო და სადისტრიბუციო ვაჭრობაზე იყო გადასული. 2020 წლის დასაწყისში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კოვიდ-19 ვირუსი (ცნობილი, როგორც

შპს "ანატოლია ტრეიდ კომპანი" "ANATOLIA TRADE COMPANY" LLC

კორონავირუსი) გამოაცხადა, როგორც 2020 წლის მსოფლიო პანდემიური მოვლენა. ამ მოვლენამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც კომპანიაზე, ასევე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე. შპს „აგარის შაქრის კომპანიის“ ყველაზე დიდი ნაბიჯი წარმოების ამუშავება იყო მთელი პანდემიის პერიოდისთვის. ამის გამო პანდემიის სამუშაო ადგილების ან დასაქმებულთა ხელფასების შემცირება არ გამოუწვევია. კომპანიამ შეინარჩუნა ყველა თანამშრომელი და სამუშაო ადგილების შემცირების ნაცვლად, პანდემიის პერიოდში წარმოების განახლებამ მოახერხა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. ამავე პერიოდში, 2020 წელს სახელმწიფომ გამოაცხადა ფასების შენარჩუნების

კონკურსი, რომლის პროგრამის ფარგლებში შპს „აგარის შაქრის კომპანიას“ აუნაზღაურდა კურსთაშორისი სხვაობა, რომელიც უცხოური ნედლეულის შესყიდვასთან იყო დაკავშირებული, ჯამში 19,265 ლარი. კომპანია პანდემიის დასრულების შემდეგაც განაგრძობს განვითარებაზე ორიენტირებას.

2. კომპანიის დამფუძნებლები და მმართველი პირები

კომპანიის მფლობელები არიან:

შპს ანატოლია ტრეიდ კომპანი (406031244) - 51%

შპს ნირეზოუნ- საქართველო (404867183)- 16,35%

შპს უნივერსალ კაპიტალ გრუპი (205273336) - 24,497%

შპს ანატოლია ჰოლდინგ კომპანი ლიმიტიდ, 125534,/არაბთა გაერთიანებული საემიროები - 8,168%

კომპანიის დირექტორი 2010 წლიდან არის - ბატონი ალხან ალიზადა

ბოლო სამი წლის განმავლობაში კომპანიის სადამფუძნებლო სტრუქტურა არ შეცვლილა.

3. საკუთარი აქციები (საწესდებო კაპიტალი)

ბოლო ორი წლის განმავლობაში არ ყოფილა ცვლილება საწესდებო კაპიტალში და არ ყოფილა აქციების გამოშვება-გამოსყიდვა.

4. განვითარების გეგმა და სამომავლო პერსპექტივები

1997 წლიდან 2018 წლის ნოემბრამდე ქარხანა მუშაობდა იმპორტირებული შაქრის ლერწმის ნედლეულზე. საწარმო ნედლეულად იყენებდა ბრაზილიის უმაღლესი ხარისხის შაქრის ლერწმს. იგი მუშაობდა უწყვეტი ციკლით 24 საათის განმავლობაში ოთხ ცვლად და დასაქმებული ჰყავდა 479 თანამშრომელი. საწარმოში ფუნქციონირებდა სასადილო და სამედიცინო პუნქტი.

პანდემიის პერიოდში, მთავრობასთან წარმოებული მოლაპარაკებების შემდგომ, 2020 წლის ივლისიდან ქარხანამ განაგრძო მუშაობა, რასაც სახელმწიფოს მიერ წახალისებამ შეუწყო ხელი, მიზანი კი იყო

შპს "ანატოლია ტრეიდ კომპანი" "ANATOLIA TRADE COMPANY" LLC

ქვეყანაში არსებობდეს შაქრის მარაგი. კომპანიამ პანდემიის პერიოდში მონაწილეობა მიიღო ფასების შენარჩუნების კონკურსში, რომლის ფარგლებში შპს „აგარის შაქრის კომპანიას“ ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო სუბსიდირება შაქრის თვითღირებულებასა და სარეალიზაციო ფასს შორის სხვაობის, თუმცა მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა. ამავე პერიოდში, 2020 წელს ზემოთაღნიშნული პროგრამის ფარგლებში სახელმწიფომ აუნაზღაურა კურსთაშორისი სხვაობა, რომელიც უცხოური ნედლეულის შესყიდვასთან იყო დაკავშირებული, ჯამში 19,265 ლარი. მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა 2021-2024 წლებში. რაც შეეხება 2021 წელს მიღებულ შეღავათებს, იგი დაკავშირებულია წარმოებაში გამოყენებული გაზის ღირებულებასთან. 2022-2024 წლებში კომპანიას რაიმე სახის შეღავათით არ უსარგებლია. კომპანია აგრძელებს იმპორტირებული ნედლეულის გადამუშავებას და 2024 წლის ბოლოსთვის მას დასაქმებული ჰყავდა 450-მდე ადამიანი. კომპანიის მიზანი სამომავლოდ არის ხარჯების ოპტიმიზაცია და მეტი სამუშაო ადგილის შექმნა.

მსოფლიო ბაზარზე ნედლეულის გაძვირებასთან და ქვეყანაში იმპორტირებულ შაქარზე კვოტების არ არსებობის გამო, რაც გამოწვეულია ევროკავშირთან დადებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით, იმპორტირებული შაქარი აღმოჩნდა მნიშვნელოვან უპირატესობაში. უპირატესობას ძირითადად ქმნის ევროპული სახელმწიფოების მხრიდან ირიბი სუბსიდია შაქრის წარმოებაზე, რაც გამოიხატება შაქრის ჭარხლის მომყვანი ფერმერებისთვის დაწესებული სუბსიდიებით. რის შედეგადაც 2017 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა სანარმოს შვიდთვიან გაჩერებებს. სანარმოს მუშაობა აღდგენილი იქნა მხოლოდ ჩვენი დიდი ძალისხმევის შედეგად, თუმცა ზემოთ ნახსენები ხელისშემშლელი პირობებიდან გამომდინარე კომპანია 2018 წელს, თებერვლიდან მაისის ჩათვლით, ეწეოდა მზა პროდუქციის იმპორტს და რეალიზაციას. ივნისის თვიდან განაახლა წარმოება ნოემბრის შუა რიცხვამდე, რის შემდეგადაც სრულად შეწყვიტა ქარხანამ ფუნქციონირება და გადავიდა წარმოებული მარაგის ამოყიდვაზე. მარაგის ამოყიდვის შემდეგ სრულად გადაერთო შაქრის იმპორტზე და მის რეალიზაციაზე. სახელმწიფოს მხრიდან რომ შემოღებულიყო ვაჭრობაში ადგილობრივი წარმოებისთვის დაცვითი ღონისძიებების შესახებ კანონი ან გათავისუფლებულიყო საქართველოში შაქრის ერთადერთი მწარმოებელი ქარხანა დამატებული ღირებულების გადასახადისგან, ეს ხელს შეუწყობდა დარგის გადარჩენას ქვეყანაში და ქარხნის ხანგრძლივ მუშაობას. თუმცა ამ ეტაპზე მსგავსი კანონი შემოღებული არ არის, და კომპანია ყველა სხვა სანარმოს მსგავსად ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს გადასახადების გადახდას.

ქარხნის ფუნქციონირება პირდაპირ არის დამოკიდებული საერთაშორისო ბაზარზე შაქრის ლერწმის ნედლეულის ფასსა და მზა თეთრი შაქრის პროდუქტის ფასებს შორის სხვაობაზე. კომპანია გადამუშავებული პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ გაყიდის იმპორტირებულ პროდუქტს ადგილობრივ ბაზარზე.

შპს „აგარის შაქრის კომპანია“ მიაღწია შაქრის ქარხნის ისტორიაში იმპორტული შაქრის ლერწმის გადამუშავების ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებლებს. 2012 წელს გადამუშავებულ იქნა 104,285 ტონა შაქრის ლერწმის ნედლეული, 2014 წელს – 104,686 ტონა და, შესაბამისად, გამოშვებული იყო 103,487 ტონა და 102,996 ტონა თეთრი შაქრის ფხვნილი. სანარმო, ასევე, ახდენს შაქრის 1 და 5-კილოგრამიან პარკებში დაფასოებას. მარკეტინგული არეალის გაფართოების მიზნით, კომპანიამ გახსნა სარეალიზაციო ბაზრები ლილოს დასახლებაში, ქ. ბათუმში, ქ. ქუთაისში და ქ. სენაკში. კომპანიას აგარაში არსებული სანარმოს გარდა ფილიალები არ გააჩნია.

შპს "ანატოლია ტრეიდ კომპანი" "ANATOLIA TRADE COMPANY" LLC

2019 წლის განმავლობაში გაყიდვები, წინა წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა, რაც ქარხნის გაჩერებამ, და მხოლოდ სადისტრიბუციო საქმიანობაზე გადასვლამ გამოიწვია. ისევე, როგორც 2021-2023 წლებში, 2024 წლის აპრილიდან მოწვეულ იქნენ თანამშრომლები წარმოების პროცესის მომზადებისათვის (რემონტი), ხოლო უშუალოდ კომპანიამ შექრის წარმოების პროცესი განაახლა ამავე წლის მაისიდან. პროცესი გაგრძელდა 2024 წლის 04 დეკემბრამდე. კომპანიის მიზანია ქართულ ბაზარზე, ბაზრის წილის ზრდა.

2022-2024 წლებში გადამუშავებული ნედლეული ცხრილი #1

წელი	გადამუშავებული ნედლეული
2022	86.854.500
2023	73.226.000
2024	56.849.133

კომპანიის საქმიანობის შედეგად სოლიდურ შემოსავალს იღებს ქვეყნის ბიუჯეტი დამატებითი ღირებულების გადასახადის, საშემოსავლოს და სხვა გადასახადების სახით. ასევე, ქვეყნის სხვა დარგებიც, მაგალითად რკინიგზა. წარმოების პროცესში კომპანია მოიხმარს ბუნებრივ აირს, კირქვას, ნახშირს და ტექნოლოგიური დანიშნულების დამხმარე მასალებს. აქედან გამომდინარე, მას თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

ცხრილი # 2

წელი	საშემოსავლო	დღგ	სხვა დანარჩენი	სულ გადახდილია ბიუჯეტში
2024	1,110,459	24,376,819	279,327	25,766,605
2023	1,262,665	26,738,454	263,619	28,264,738
2022	2,213,744	34,021,596	169,528	36,404,868

ღღეისათვის არსებული ტექნოლოგია, წარმოების პროცესი, პროდუქციის ფიზიკო-ქიმიური და ორგანო-
 ლეპტიკური მაჩვენებლები მსოფლიო სტანდარტებს მიესადაგება და პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს. ამის

შპს "ანატოლია ტრეიდ კომპანი" "ANATOLIA TRADE COMPANY" LLC

თავისებური გარანტიაა გამოცდილი და კვალიფიციური კადრები. კომპანია მიზნად ისახავს მომხმარებლების მოთხოვნების დაკმაყოფილების მუდმივ გაუმჯობესებას.

სამომავლოდ კომპანია გეგმავს, რომ ჰქონდეს ქვეყნისთვის საჭირო რაოდენობით შაქრის რეზერვი, რისთვისაც აქტიურ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას და შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს. ხარჯების ოპტიმიზაციისთვის დამატებით ღონისძიებები კომპანიაში არ გატარებულა.

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა კომპანიის ბიზნესზე

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომი წამოიწყო, რაც თავის მხრივ მსოფლიო ყურადღების ქვეშ მოექცა. ომის შეწყვეტის მიზნით ევროკავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ასევე სხვა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს რუსეთისათვის მკაცრი სანქციების დანერგვა, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ შეზღუდვებს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს არა მარტო რუსეთში არსებულ კომპანიებზე, არამედ მათზეც, ვისაც ამ ქვეყნის კომპანიებთან საქმიანი ურთიერთობები გააჩნიათ.

ზემოაღნიშნულ შეზღუდვებს დღეის მდგომარეობით კომპანიის საქმიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ მოხდა ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირების/გადაზიდვების ხარჯის ზრდა. გაიზარდა საწვავის, სათბობი მასალის ფასები. ასევე მეტი ძალისხმევა ჭირდება წარმოებისათვის საჭირო სათადარიგო და სხვა მაკომპლექტებელი ფასეულობების იმპორტს.

5. წარმოებული კვლევები და მისი განვითარება

ბოლო სამი წელია კომპანიაში არ ჩატარებულა კვლევები და არც იგეგმება უახლოესი პერიოდის განმავლობაში.

6. რისკების მიმოხილვა

სავალუტო რისკი

კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე, რომელიც წარმოიქმნება როგორც ფინანსირებისგან, ასევე ინვესტირებიდან.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. თუმცა აქვს ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაშიც. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობები. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში ან ევროში.

შპს "ანატოლია ტრეიდ კომპანი" "ANATOLIA TRADE COMPANY" LLC

სავალუტო რისკის მართვის კუთხით კომპანია ცდილობდა ხელშეკრულებები გაეფორმებინა ეროვნულ ვალუტაში.

ლიკვიდურობის რისკი

2024 წლის მანძილზე შპს „აგარის შაქრის კომპანიას“ შემცირებული აქვს ლიკვიდურობის რისკი, რაც ქვემოთ ცხრილში მოცემული ფინანსური კოეფიციენტებიდანაც გამომდინარეობს.

ცხრილში მოცემულია 2022-2023-2024 წლის ფინანსური კოეფიციენტები

წლები	2024	2023	2022
აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი	2.09	2.82	5.31
მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი	7.97	2.36	16.11
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.39	0.31	0.98
მარაგის ბრუნვის კოეფიციენტი	3.26	4.16	8.6

7. ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა

2024 წლის მანძილზე შპს „აგარის შაქრის კომპანიამ“ მიიღო მაღალი შემოსავალი.

წლები	2024 (თანხები მოცემულია ათასებში)	2023 (თანხები მოცემულია ათასებში)	2022 (თანხები მოცემულია ათასებში)
შემოსავლები	116.180	150.897	211.054

შემოსავლების შესაბამისად, კომპანია ცდილობდა ხარჯების ოპტიმიზაციასაც:

წლები	2024(თანხები მოცემულია ათასებში)	2023(თანხები მოცემულია ათასებში)	2022(თანხები მოცემულია ათასებში)
ადმინისტრაციული ხარჯები	6.370	6.520	5.251
გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები	1.712	2.020	2.139

შპს "ანატოლია ტრეიდ კომპანი" "ANATOLIA TRADE COMPANY" LLC

ადმინისტრაციული ხარჯის დიდ ნაწილს წარმოადგენს თანამშრომლების ხელფასები:

2022 – 2.701 ათასი ლარი

2023 – 3.290 ათასი ლარი

2024 – 3.055 ათასი ლარი

2025 წლის აპრილიდან თანამშრომლები კვლავ დაუბრუნდნენ სამუშაო ადგილებს, რისი წინაპირობაც წარმოების პროცესის მომზადება და გამართვა იყო.

თარიღი: 26.09.2025

ალექსან ალიზადა

შპს „ანატოლია ტრეიდ კომპანი“ დირექტორი



შპს "ანატოლია ტრეიდ კომპანი"

"ANATOLIA TRADE COMPANY" LLC

ადმინისტრაციული ხარჯის დიდ ნაწილს წარმოადგენს თანამშრომლების ხელფასები:

2022 – 2.701 ათასი ლარი

2023 – 3.290 ათასი ლარი

2024 – 3.055 ათასი ლარი

2025 წლის აპრილიდან თანამშრომლები კვლავ დაუბრუნდნენ სამუშაო ადგილებს, რისი წინაპირობაც წარმოების პროცესის მომზადება და გამართვა იყო.

თარიღი: 26.09.2025

ალხან ალიზადა

შპს „ანატოლია ტრეიდ კომპანის“ დირექტორი